მალვინა შანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
malvinashanidze@mail.ru
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.77

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა და მისი გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა საჯარო სკოლებში

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქციული უკუკავშირი, შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები, დაკვირვება, შეფასება.

სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა ასობით პედაგოგის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების საშუალებას იძლევა. ნაშრომში წარმოჩენილია **დაკვირვების შედეგები** იმ მიმართებით, თუ **განმავითარებელი შეფასების კომპონენტებსა და ინსტრუმენტებს** რა დოზით, რამდენად მიზნობრივად და დაბალანსებულად იყენებდნენ პედაგოგები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე.

შეფასება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მისი მეშვეობით მასწავლებელი ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ***შეფასების მიზანია*** სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო, მეორე მხრივ, მის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება უშუალოდ უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - სწავლის შედეგს.

სწავლა-სწავლების სისტემაში შეფასების ორი ძირითადი მოდელი არსებობს: ***განმავითარებელი*** და ***განმსაზღვრელი.***

განმავითარებელი შეფასება ესგ-ის მიხედვით ძირითადად I-IV კლასებში გამოიყენება. V კლასის I სემესტრი ადაპტაციის პერიოდია, II სემესტრიდან კი განმსაზღვრელი შეფასება ოფიციალურად მკვიდრდება სწავლებაში. მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი შეფასების გვერდით განმავითარებელი შეფასების გამოყენება რეკომენდებულია მე-12 კლასის ჩათვლით.

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა; სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების, მათი უნარების დახვეწის მაქსიმალურად ხელშეწყობა. ეს ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე: „სწავლაში ძირითადია . . . იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ.“

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასაზღვრად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის

მათ საჭიროებებს, რათა მოთხოვნათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი და თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში.

წარმოვადგენ თორმეტ მნიშვნელოვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ყველაზე მეტად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

1. რაც უფრო მეტი იცის პედაგოგმა მოსწავლეთა შესახებ, მით უფრო ხელეწიფება მათი დახმარება. ამ თვალსაზრისით **დაკვირვება** განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პროცესად გვესახება. ***დაკვირვების*** საშუალებით მასწავლებელს შეუძლია გაარკვიოს, რა იციან მოსწავლეებმა და რა უნდა შეძლონ უკეთ.

პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ახალ მასალას ყველა მოსწავლე თანაბრად ვერ აითვისებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილებზე ათვისებისა და პროგრესის შემოწმების სხვადასხვა მიდგომა გამოიყენოს. ეს შეიძლება იყოს როგორც არაფორმალური, ***სწრაფი გადამოწმება,*** ისე შედარებით ფორმალური აქტივობა და ***სიღრმისეული დაკვირვება.*** პედაგოგმა მოსწავლის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქონიონ შემდეგი ფაქტორები:

ა. უმეტესწილად დააკვირდნენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის დაუფლებისა და უნარების გაწაფვის პროცესს;

ბ. ყოველდღიურად შეაგროვონ ინფორმაცია მოსწავლეების სწავლასა და პროგრესზე;

გ. ტესტირებებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ დაკვირვების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის შესავსებად და დასაზუსტებლად; შექმნან და აწარმოონ მოსწავლეთა პორთფოლიოები - სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპების ამსახველი ნამუშევრებით;

დ. გამოიყენონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რათა შეძლონ მოსწავლეთა ზუსტი შეფასება და თითოეული მათგანისათვის სწავლების სათანადო სტრატეგიებისა და მიდგომების განსაზღვრა.

დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩანიშვნა მასწავლებლებს შეეძლებათ სხვადასხვა ფორმით:

ა) **მოკლე ჩანაწერების** სახით, რაც მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის აღნუსხვისა და გაანალიზების კარგი საშუალებაა. ჩანაწერების გამოყენება სასარგებლოა გაკვეთილების დასაგეგმად, დიფერენცირებული ჯგუფების დასაკომპლექტებლად, მშობლებისათვის შვილის მოსწრებაზე ინფორმაციის გასაცნობად.

ბ) **მონიტორინგის რვეულის** წარმოებით. ცალკეული ჩანაწერების კეთების ნაცვლად მასწავლებელს შეუძლია იქონიოს სპეციალური რვეული, რომელშიც თითოეული მოსწავლის სწავლის შესახებ ინფორმაციას ჩაინიშნავს. მონიტორინგის რვეულის დახმარებით შეიძლება თვალი მივადევნოთ მოსწავლეთა პროგრესს.

გ) მოსწავლეთათვის **პორთფოლიოების** შექმნით, რაშიც მოთავსდება სტანდარტების მიღწევის ამსახველი მნიშვნელოვანი ნამუშევრები. პორთფოლიო იწარმოება მთელი აკადემიური წლის განმავლობაში . . .

მოკლე ჩანაწერებისა და მონიტორინგის რვეულის გამოყენების მნიშვნელოვან პროცესს მხოლოდ G-PriEd- ის პროექტში ჩართული მასწავლებლების შემოწმებისას ვხვდებოდი მხოლოდ. რაც შეეხება **პორთფოლიოებს**, იმავე პროექტში ჩართულ მასწავლებელთა 30%-ს ჰქონდა ნაწარმოები და გამოფენილი/წარმოდგენილი ძირითადად.

2. მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება გაკვეთილის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რამდენადაც ეს პროცესი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი სუსტი

და ძლიერი მხარეები გააცნობიეროს, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, შესაძლებლობები, განივითაროს თვითკრიტიკის უნარი და დინამიკაში მიადევნოს თვალი პროგრესს. ამავე დროს, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეშვეობით, მასწავლებელი მეტ ინფორმაციას აგროვებს მოსწავლეებზე და მათ განვითარებას უფრო ეფექტიანად წარმართავს.

სასურველია, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვის განკუთვნილი რუბრიკები მარტივად აიგოს და ძირითადად პირდაპირი პასუხებით შემოიფარგლებოდეს (დიახ/არა, ვეთანხმები/არ ვეთანხმები და ა.შ.).

მასწავლებელმა **თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები** შეიძლება სხვადასხვა დროსა და შემთხვევაში გამოიყენოს: ა. კონკრეტული თემის ათვისების ხარისხის შემოწმებისას, ბ. სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზომვისას, გ. ამა თუ იმ უნარის განვითარების დონეზე დაკვირვებისას და სხვ.

ქვემოთ წარმოვადგინე მოსწავლის ზოგადი უნარების თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია რუბრიკის საკუთარი ვერსიის შექმნა.

მოსწავლის სახელი და გვარი:

კრიტერიუმები	*ყოველთვის*	*ზოგჯერ*	*არასოდეს*
გაკვეთილზე ყურადღებით ვარ			
ვპასუხობ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს			
საკუთარ აზრს გამოვთქვამ ხმამაღლა			
ყურადღებით ვისმენ სხვათა მოსაზრებებს			
ინდივიდუალურ მუშაობაზე მეტად ჯგუფებში მუშაობა მეხალისება			
როდესაც რაიმეს ვერ ვიგებ, მასწავლებელს ან თანაკლასელს ვეკითხები			
გაკვეთილის მსვლელობისას ხელს არ ვუშლი თანაკლასელებს			
მუშაობის დაწყების წინ ვინიშნავ დროს და ვაკონტროლებ მას			

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება გამოიყენება ჯგუფური მუშაობის შესაფასებლადაც.

თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტები შემოწმებული პედაგოგებიდან 10% გამოიყენა მხოლოდ, თუმცა ამის შესაძლებლობა და საჭიროება ნამდვილად არსებობდა. აღნიშნულ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ყურადღებას ვამახვილებდი სტუდენტებთან მუშაობისას, რათა გაეთვალისწინებინათ და გამოეყენებინათ სკოლაში პრაქტიკებზე ყოფნისას და, პერსპექტივაში, პედაგოგიური მოღვაწეობისას.

3. თვითშეფასება მასწავლებლებისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მოსწავლეთათვის. სწორედ მისი მეშვეობით შეეძლება მასწავლებელს, საკუთარი ძლიერი

და სუსტი მხარეების იდენტიფიციება და სამომავლო პრიორიტეტების გამოკვეთა. ქვემოთ მოცემულია მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში. საჭიროების მიხედვით პედაგოგს შეეძლება შეცვალოს, შეავსოს ან გადააკეთოს რუბრიკის კრიტერიუმები.

მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა	
შექმნილი მაქვს საკლასო ოთახში წიგნიერი გარემო? რა კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამ მის შესაქმნელად?	
რა იყო ყველაზე წარმატებული ჩემ მიერ დღეს ჩატარებულ გაკვეთილში?	
რამდენად სწორად მივუსადაგე ერთმანეთს შერჩეული ტექსტი, მეთოდი და სტრატეგია? რას შევცვლიდი?	
რამდენად შეესაბამება ჩემი მოსწავლეების მიღწევები დადგენილ სტანდარტს? როგორ შეიძლება გავაუმჯობესო მიღწეული შედეგი?	
შემიძლია თუ არა კლასის მართვა და ორგანიზება? კონკრეტულად რას ვაკეთებ საკლასო გარემოს ორგანიზებისათვის? უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით საკლასო ოთახის მოწყობისათვის?	

პროექტისა თუ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული დებულების თანახმად, გაკვეთილის ჩატარების შემდეგ ყველა მასწავლებელი ვალდებული იყო თავად გაეანალიზებინა მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი, გამოეკვეთა წარმატებით და შედარებით სუსტად წარმართული აქტივობები, დაესაბუთებინა სტრატეგიული გზები, საკუთარი თავისთვის მიეცა რეკომენდაციები. მასწავლებლის თვითშეფასება უმეტესად იყო რეალური, ზოგჯერ - გაზვიადებული, რადგან იცოდა, რამდენი გადაცდომა ჰქონდა და წარუმატებლად ჩატარებული გაკვეთილი ვერ მოუტანდა სასურველ კვალიფიკაციას.

სტუდენტებს ვაცნობდი მოსწავლეთა თუ მასწავლებლის თვითშეფასების შესახებ საინტერესო მაგალითებს და თავადვე რწმუნდებოდნენ განმავითარებელი შეფასების ამ ინსტრუმენტის მნიშვნელობაში.

4. მასწავლებელს თვითშეფასებისთვის გამოადგება განმავითარებელ/შემაჯამებელი შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტებიც, როგორიცაა **„შესასვლელი და გასასვლელი ბარათები.“**

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე დაწერს შეკითხვას წინა გაკვეთილზე განვლილი საკითხის შესახებ და სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ პასუხი მცირე ზომის ბარათებზე. შემდეგ პედაგოგი შეაგროვებს ბარათებს, სწრაფად გადაავლებს თვალს და დაფიქრდება, კიდევ რა არის საჭირო განვლილი მასალის მიმოხილვისა და განმტკიცებისათვის.

გაკვეთილის ბოლოს, რათა გაირკვეს, თუ როგორ გაიგეს და აითვისეს მოსწავლეებმა აღნიშნულ გაკვეთილზე შესწავლილი ტექსტი, მიღებული ახალი ინფორმაცია, პედაგოგი მათ ურიგებს წებოვან ფურცლებს 1, 2 ან 3 შეკითხვით. მაგალითად, ერთ-ერთი ვერსიაა: 1. რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? 2. რა იყო ბუნდოვანი? 3. დასვით სასურველი შეკითხვა. ბავშვები პედაგოგს დაუდებენ მაგიდაზე შევსებულ ბარათებს და დაემშვიდობებიან. პედაგოგი ეცნობა და აანალიზებს მოწოდებულ ინფორმაციას. თუ გარკვეული საკითხი ბევრისთვისაა ბუნდოვანი, პედაგოგი ხვდება, რომ არასრულყოფილად ჩატარდა აქტივობა და მომდევნო გაკვეთილისათვის არჩევს უფრო ოპტიმალურ სტრატეგიას საკითხის ღრმად გააზრებისათვის.

„შესასვლელი“ ან „გასასვლელი ბარათების“ აქტივობა პედაგოგთა მხოლოდ 2%-მა გამოიყენა მხოლოდ.

შეფასების ამ კომპონენტით განსაკუთრებით დაინტერესდნენ და მისი გამოყენების მნიშვნელობაში დარწმუნდნენ ჩემი სტუდენტები.

5. დროგამოშვებით პედაგოგი მოსწავლეებს უნდა აძლევდეს წერით დავალებებს: ფურცლის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით. ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილზე, რომელიც კარგად ვერ გაიგო. ეს აქტივობა **„შემაჯამებელი აქტივობის“** სახელითაა ცნობილი.

აღნიშნული „შემაჯამებელი აქტივობა“ მასწავლებელთა ძირითად ნაწილს არც გაეგონა და ბუნებრივია, ვერც გამოიყენებდნენ შეფასებისათვის. ამიტომაც საერთოდ არ დაფიქსირებულა ამ განმავითარებელი აქტივობის გამოყენის შემთხვევები. იმედია, სტუდენტები გააზრებულად მოეკიდებიან ამ აქტივობის გამოყენების მნიშვნელობას.

6. ახალი მასალის გასააზრებლად პედაგოგი გამოყოფს დროს, მაგალითად, ერთ წუთს, სამ წუთს. ამიტომ **„ერთწუთიანი“ ან „სამწუთიანი პაუზის“** სახელითაა ცნობილი განმავითარებელი შეფასების ეს ფორმა. პედაგოგი თხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ საგაკვეთილო მასალით წარმოდგენილ ცნებებსა და იდეებზე, დაუკავშირონ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, ახსნან და განმარტონ ისინი დამოუკიდებლად ან ქვემოთ წარმოდგენილი **წინადადებების ქარგის** გამოყენებით:

- მე შემეცვალა წარმოდგენა . . . . . - ის შესახებ.
- მე უკეთ გავიგე . . . . . .
- მე გამიკვირდა, რომ . . . . . .
- მე . . . . . დავუკავშირე . . . . . - ს.
- მე თანაგრძნობა გამიჩნდა . . . . . - ის მიმართ.

განმავითარებელი შეფასების ამ კომპონენტის გამოყენების ალბათობა მხოლოდ 2%-ს გაუტოლდა. თუმცა რეფლექსიის სახით, ზეპირმეტყველებისას, ეს პრობლემა ნაწილობრივ გაიაზრეს კიდეც მოსწავლეებმა. აღმოჩნდა, რომ „სამწუთიანი პაუზის“ აქტივობას ნაკლებად იცნობდნენ პედაგოგები. ექსპერტის (ჩემი) უკუკავშირისას გაეცნენ და დარწმუნდნენ მისი მოხმარების მნიშვნელობაში (იმავეს ვიტყოდი სტუდენტებზეც).

7. შემდეგი განმავითარებელი შეფასება **„შუქნიშნის ფერება“.** პედაგოგი თითოეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს გადასცემს ორ ცალ, მწვანე და წითელი ფერის, წრის ფორმის ბარათს. მწვანე ფერს აწერია „კარგად ვმუშაობ“, წითელს კი - „დახმარება მჭირდება, ვერ ვაგრძელებ მუშაობას“. იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს აქტივობა და რამდენად ართმევენ თავს დავალებებს, აწევენ ერთ-ერთ ბარათს და ამით მიანიშნებენ მასწავლებელს, თუ რა სახის რეაგირებაა საჭირო მისი მხრიდან. ჯგუფური მუშაობისას „შუქნიშნის ფერები“ გამოიყენა მასწავლებელთა 60%-მა. დაახლოებით ამდენივე პროცენტი დაფიქსირდა **„დიახ/არა ბარათების“** მოხმარებისას.

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს აძლევს წინასწარ დამზადებულ ორ-ორ ბარათს. ერთ ბარათზე დიდი ასოებით წერია „დიახ“, მეორეზე - „არა“. შესაძლებელია ორმხრივი ბარათის დამზადებაც. ასეთ ბარათს ერთ მხარეს „დიახ“ ეწერება, მეორე მხარეს კი - „არა“. „დიახ/არა“ ბარათები გამოიყენება დახურული ტიპის შეკითხვებზე, კერძოდ, ქვიზებზე, მუშაობისას. მოსაფიქრებლად მიცემული მცირე დროის გასვლის შემდეგ მოსწავლეები აწევენ შესაბამის ბარათს. მასწავლებელი ადვილად შეამჩნევს, ვინ რა პასუხი გასცა შეკითხვას. ასე აკონტროლებს ერთდროულად ყველა მოსწავლის მიერ საკითხის გაგების უნარს.

სტუდენტები დაინტერესდნენ განმავითარებელი შეფასების ამ კომპონენტით, დაამზადეს და გამოიყენეს სიტუაციური ამოცანების გათამაშებისას.

8. ინტენსიურად გამოიყენებოდა **„გამოსაძახებელი ჩხირებიც“.** იმისათვის, რომ ყოველთვის ერთი და იგივე მოსწავლეები არ გამოიძახოს პედაგოგმა, შეირჩა მარტივი და ძალზე ეფექტური სტრატეგია - გამოსაძახებელი ჩხირების სახელწოდებით.

მასწავლებელი თითო ჩხირზე დაწერს თითო მოსწავლის სახელს და მოათავსებს ჭიქაში. გაკვეთილის მსვლელობისას ის დასვამს შეკითხვას და ჭიქაში ჩაუხედავად ამოიღებს ჩხირს, რომელზეც ერთ-ერთი ბავშვის სახელი წერია. კითხვის დასმამდე ჩხირის ამოღება არ არის რეკომენდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მოსწავლეები შეკითხვას აღარ მოისმენენ. როდესაც გამოძახებული მოსწავლე კითხვას უპასუხებს, მასწავლებელი ჩხირს ჭიქაში ჩააბრუნებს. ამით მოსწავლეებს უჩვენებს, რომ შეიძლება კვლავ მოუწიოთ გამოძახება და ყურადღებით უნდა იყვნენ.

„გამოსაძახებელ ჩხირებს“ ინტენსიურად იყენებდა მასწავლებელთა დიდი ნაწილი. თუმცა იყო გადაცდომებიც. მაგ.: 3, 4 ან 5 მოსწავლიან საკლასო ოთახში ჩხირების გამოყენების საჭიროება აღარ იკვეთებოდა. თუმცა ფორმალურად მაინც მოიხმარდნენ.

ჩემმა სტუდენტებმა არა მარტო დაამზადეს ჩხირები, არამედ გამოიყენეს კიდეც, ამავდროულად, გაითავისეს მისი გამოყენების საგანმანათლებლო და ტექნიკური მხარე და გაერკვნენ მის მნიშვნელობაში.

9. გაკვეთილებზე გამოიყენებოდა - **ა) შეფასების კრიტერიუმებისა და ბ) ჯგუფერი მუშაობის შეფასების** რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები I-IV კლასების პედაგოგთა 50%-ს კედელზე ჰქონდა გაკრული და საჭიროებისამებრ იყენებდა. უმეტეს შემთხვევაში მისმა მოხმარებამ ზედაპირული, ფორმალური ფუნქცია შეიძინა. V-VI კლასებში თითქმის არ შემხვედრია განმავითარებელი შეფასების არც ერთი სქემა გამოკრული და გამოყენებული. თუმცა, წამყვანი მასწავლებლის კომპეტენციის მოსაპოვებლად ჩატარებული გაკვეთი-ლების შემთხვევაში, იყო ერთეული გამონაკლისი.

ჯგუფური მუშაობის შეფასების კომპონენტებს პედაგოგი დიფერენცირებული მუშაობის წინ შეახსენებდა მოსწავლეებს, რათა - ა) ჯგუფის ყველა მოსწავლე ჩართულიყო მუშაობაში, ბ) მათ შორის ყოფილიყო ურთიერთმოსმენა და აზრთა გაზიარება, გ) დაეცვათ დროის ლიმიტი და დ) პრეზენტაციისას წარმატებით წარმოეჩინათ შესრულებული დავადებები.

შეფასების კრიტერიუმების სქემა წარმოაჩენდა, რამდენად აქცევდა ყურადღებას პედაგოგი კითხვის ყველა კომპონენტის დამუშავებას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. სქემა ძირითადად მოიცავდა: კითხვის, წაკითხულის გააზრების, ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და წერითი აზროვნების განვითარების აქტივობებს. უკუკავშირისას ფასდებოდა მოსწავლეთა მიერ ყველა კრიტერიუმის დაუფლების ხარისხი. მოსწავლეებიც გარკვეულები იყვნენ, თუ რა უნდა ესწავლათ და რამდენად შეძლეს ამა თუ იმ საკითხის გააზრება.

10. შეკითხვების გამოყენება განმავითარებელი შეფასებისათვის

მოსწავლეთა მიერ კარგად ჩამოყალიბებული შეკითხვები პედაგოგს საშუალებას აძლევს დაადგინოს, რა აითვისეს მოსწავლეებმა და რას აკეთებენ არასწორად. მართალია, შეკითხვებს, ძირითადად, მასწავლებლები სვამენ, თუმცა ეფექტურ სასწავლო პროცესში მოსწავლეებსაც ხშირად ეძლევათ შეკითხვების მოფიქრებისა და დასმის საშუალება.

მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, მათზე პასუხის გაცემისას, მასწავლებელი ყოველთვის უნდა მოერიდოს მოსწავლეთა გაკრიტიკებას (როგორ სვამ ასეთ კითხვას?) ან დამცირებას (ეს რა უაზრო შეკითხვაა?). მომავალ პედაგოგებსა და მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ კლასში ტონსა და ატმოსფეროს ისინი ამკვიდრებენ და თუ მოსწავლეებს დამამცირებლად ესაუბრებით, ისინიც ამგვარადვე მოიქცევიან.

სასურველია, რომ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები მოითხოვდეს არა მარტო ფაქტობრივი ინფორმაციის გახსენებას, არამედ წაკითხულის ანალიზს, შეფასებას და კრიტიკულად გააზრებას. მაგ.:

- რით ჰგვანან ერთმანეთს და რით განსხვავდებიან . . . . . და . . . . . .?

- რა თვისებები ახასიათებს/რა ნაწილებისგან შედგება . . . . . .?
- კიდევ როგორ შეგიძლიათ გამოხატოთ . . . . . .?
- რა მთავარი აზრი უდევს საფუძვლად . . . . . ?
- როგორ უკავშირდება ერთმანეთს . . . . . და . . . . . .?
- რა იდეებს/დეტალებს დაამატებდით?
- დაასახელეთ . . . . . -ის მაგალითი.
- რა დასკვნებს გამოიტანდით . . . . . -დან?
- რას ვარაუდობთ . . . . -ს შესახებ?
- რა მოხდებოდა, თუკი . . . . . .?
- რის მიხედვით შეაფასებდით . . . . . ?
- კიდევ როგორ შეიძლება . . . . . .-ს დანახვა? სხვაგვარად როგორ შეხედავდით . . . . . -ს?
- რა მიდგომას ან სტრატეგიას აირჩევდით იმისათვის, რომ . . . . . ?
- რომელი უნარები/სტრატეგიები გამოიყენეთ . . . . . .-თვის?
- კიდევ როგორ არის შესაძლებელი . . . . . -ის გაკეთება?

შემოწმებული გაკვეთილების მხოლოდ 7-8%-ის შემთხვევაში ცდილობდა პედაგოგი მოსწავლეებისთვის ჩამოეყალიბებინა შეკითხვის ფორმულირების უნარი, ან მიეცა დავალება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვდა კითხვის ჩამოყალიბებას. შედარებით მეტი პროცენტი მივიღე მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეთა მიერ პასუხის გაცემის შემთხვევაში. მასწავლებლების 50%-ს გაკვეთილზე საერთოდ არ გამოუყენებია განმავითარებელ შეფასებაზე ორიენტირებული კითხვები.

11. კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ათვისებულ ცოდნას დავალებების შესრულებისას. უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს **შეფასებას, წახალისებასა და რჩევებს.**

ეფექტური უკუკავშირი შეიცავს პასუხს სამ კითხვაზე: თუ რა გაკეთდა კარგად, რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ უნდა გაუმჯობესდეს იგი.

რა გაკეთდა კარგად?	შექება, პოზიტიური კომენტარი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • მტკივნეულად არ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაიწყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოიყენოს მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. სასურველია უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს.
რა საჭიროებს გაუმჯობესებას?	ზოგჯერ აუცილებელია ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირებაც, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი მომავალში ხარვეზების გამეორებას. მნიშვნელოვანია, უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან.
როგორ უნდა გაუმჯობესდეს . . . . . .?	ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები. მან: პასუხისმგებლობა უნდა აიღოს გაუმჯობესებაზე;

	გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები დავალებების უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, უკუკავშირი კონკრეტულ ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ **უკუკავშირი** კონსტრუქციულად დაიწყოს. უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად შეიძლება გამოიყენოთ ეს ფრაზები:

- ეს კარგი ნაშრომია, რადგან . . . . . .
- შენი ნააზრევიდან გამოჩნდა, რომ . . . . . .
- შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: . . . . . და . . . . . .
- სასურველია, რომ ამის მომდევნო ნაბიჯი იყოს . . . . . .
- კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის . . . . . .
- შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა . . . . . .
- შენ ნაკლებად გჭირდება . . . . . .
- შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო . . . . . .
- გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ . . . . . .
- შემდეგ ჯერზე გამოიყენე . . . . . .

სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ **უწყვეტი უკუკავშირი.**

კონსტრუქციული უკუკავშირის გამოყენებას სერიოზული მომზადება სჭირდება მასწავლებლის მხრიდან, მითუმეტეს, რომ ყველაზე მეტად კონსტრუქციულ უკუკავშირში წვდომისა და გამოყენების პრობლემა აღმოაჩნდათ ჩვენს პედაგოგებს. მასწავლებლების 80%-ს საერთოდ არ გამოუყენებია იგი, ან მისი სიტუაციისთვის აუცილებელი რომელიმე კომპონენტი.

დასკვნა: განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა განუზომელია სასწავლო პროცესში:

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების მიმართ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.
2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები თვალსაჩინო ხდება როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებ-სათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.
3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.
4. განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს ეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენადაა მზად ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.
5. განმავითარებელი შეფასება პედაგოგს ეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.
6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.
7. განმავითარებელი შეფასება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარის განვითარებას.
8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში.

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ღებულობს ინფორმაციას და გადაწყვეტილებებს სწავლების პროცესში დაუყოვნებლივ და მოგვიანებით შესატანი შესწორებების შესახებ.

10. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმისას.

განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული მოსწავლეებს და კიდევ რისი შესწავლა სჭირდებათ საბოლოო მიზნის მისაღწევად. სტუდენტები კი უნივერსიტეტშივე გაერკვევიან მის მნიშვნელობაში და შექმნიან საინტერესო გაკვეთილის გეგმას, რომელშიც განმავითარებელ შეფასებასა და მისი კომპონენტების/ინსტრუმენტების გამოყენებას მკვიდრი ადგილი ექნება დათმობილი.

ლიტერატურა:

- **შანიძე მალვინა,** წიგნიერების საფუძვლები (კითხვის, წაკითხულის გააზრებისა და წერითი აქროვნების განვითარების სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე), ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021 წ.
- კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, **G-PriEd,** საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, 2017 წ.
- **ეროვნული სასწავლო გეგმა** და საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თბ., 2025 – 2028 წ.წ.
- **ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ.,** „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2016

Malvina Shanidze

Akaki Tsereteli State university

malvinashanidze@mail.ru

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.77

The Importance of Formative Assessment and the Actual Status of Its Use in Public Schools

Abstract

Participation in various educational projects allows for the observation and evaluation of the teaching process of hundreds of teachers. The paper presents the results of the observation in terms of the extent to which, purposefully and balancedly, the components and tools of formative assessment were used by teachers when conducting Georgian language and literature lessons.

The observation was conducted on the use of such important strategies and tools of formative assessment as:

1. Observation, quick check and in-depth observation - by recording the results of observations (using short notes and monitoring notebooks and creating portfolios);

2. Student self-assessment and peer assessment;

3. The importance of teacher self-assessment;

4. “Entry” and “Exit” cards;

5. Summary activity;

6. One-minute or three-minute pause;
7. “Traffic light colors”, “Yes-No cards”;
8. “Call sticks”;
9. Assessment criteria and rubrics for group work assessment;
10. Using questions for formative assessment;
11. Constructive feedback (with evaluation, encouragement and advice);
12. Conclusion.

Keywords: formative assessment, constructive feedback, assessment components and tools, observation, evaluation.